

## საგნობრივი ოლიმპიადის სატენდერო პირობები

საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შემდეგ საგნებსა და კლასებში:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა - VII; VIII; IX კლასები

ბ) ინგლისური ენა - VII; VIII; IX კლასები

გ) მათემატიკა - VII; VIII; IX კლასები

დ) ფიზიკა - IX კლასი

ე) ქიმია - IX კლასი

ვ) ბიოლოგია - IX კლასი

რუსული სექტორის მოსწავლეებისთვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს რუსულ ენაზე.

### ვადები

ოლიმპიადა ჩატარდება ორ ტურად (პირველი და მეორე). ორივე ტური უნდა ჩატარდეს 2021 წლის მარტი - ივნისში. ოლიმპიადის ჩატარების განრიგი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით.

### მომსახურება

ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი სამინისტროს აბარებს:

ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა:

- შესაბამისი საგნის სპეციალისტთა (მეორე ტურში მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების გამსწორებელი) მონაცემებს შესათანხმებლად შესაბამის დოკუმენტებთან ერთად.

მეორე ტურის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა:

- მეორე ტურის ტესტებს (ჯამში 1000 ცალი, ტესტის ფორმატი უნდა შეთანხმდეს სამინისტროსთან). მეორე ტურის ტესტების თემატიკას დასაბეჭდად ასევე, შეფასების კრიტერიუმებს, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გადასცემს სამინისტრო.
- დამკვირვებელთა მონაცემებს.

მეორე ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა:

- მეორე ტურის შეფასებულ (გასწორებული) ტესტებს მატერიალური სახით;
- მონაწილეთა კოდირებულ სიებს მიღებული ქულების მითითებით ელექტრონული და ბეჭდური სახით

### II ტურის ნამუშევრების შეფასება

საგნობრივი ოლიმპიადის II ტურში მოსწავლეთა ნამუშევრებს შეაფასებს (სამინისტროს მიერ მინოდებული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით) ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგნის სპეციალისტებისგან (არანაკლებ 3 წევრი) დაკომპლექტებული კომისია, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ:

- უმაღლესი განათლება შესაბამის საგანში (მაგისტრი/სასურველია დოქტორი);
- არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანში და საფეხურზე (საბაზო);
- წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი შესაბამის საგანში.

## ოლიმპიადის ჩატარება

### მეორე ტური

1. მეორე ტურში ჯამში მონაწილეობას მიიღებს არაუმეტეს 1000 მოსწავლე;
2. მეორე ტური ჩატარდება წერილობითი ფორმით ე. ბათუმში სამინისტროს მიერ გამოყოფილ სივრცეში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, გათბობით, სველი წერტილებით;
3. საკონკურსო სივრცის მოწყობა მოეთხოვება ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს. რაშიც იგულისხმება: მოსწავლეთა რეგისტრაციისთვის და კლასების მიხედვით გამოყოფილი სივრცეების მოწყობა, მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი ინდივიდუალური მერხების, სკამებისა და კალმების ორგანიზება. ბანერებისა და მიმართულების განმსაზღვრელი ნიშნების განთავსება
4. მეორე ტური უნდა მიმდინარეობდეს დამკვირვებელთა მეთვალყურეობის ქვეშ. 20 მოსწავლეზე უნდა იყოს სულ მცირე 1 დამკვირვებელი. დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საგნის სპეციალისტი
5. საკონკურსო სივრცეში მოსწავლეების გადანაწილება უნდა მოხდეს წინასწარ შედგენილი სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით. გადანაწილება უნდა მოხდეს ორგანიზებულად, მონაწილეებმა რეგისტრაციის გავლისას უნდა მიიღონ აუდიტორის შესახებ ინფორმაცია.
6. მეორე ტური უნდა დაიწყოს განსაზღვრულ დროს. შესაბამისად, ყველა აუდიტორიაში უნდა იყოს გასწორებული საათი. ტესტები და სარეგისტრაციო შურნალები თითოეულ აუდიტორიაში უნდა შევიდეს დალუქული კონვერტით, რომელსაც იბარებს დამკვირვებელი. დამკვირვებელი მონაწილეებს დეტალურად უხსნის ოლიმპიადაში მონაწილეობის წესს, მონაწილეების თვალწინ ხსნის დალუქულ კონვერტს და სარეგისტრაციო შურნალის შესაბამისად თითოეულ მონაწილეს გადასცემს მისთვის განკუთვნილ ტესტს (ტესტზე და სარეგისტრაციო შურნალში მონაწილის გასწვრივ ჩანერილი უნიკალური კოდი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს). ტესტზე მუშაობის დროის ამონურვისთანავე დამკვირვებელი იბარებს ტესტს. მოსწავლის მიერ ტესტის მიღება და დაბრუნება უნდა დადასტურდეს ხელმოწერით. დამკვირვებელი პასუხისმგებელია ზოგადი დისციპლინისა და ოლიმპიადის წესების დაცვის უზრუნველყოფაზე

### პროცედურული დარღვევებისა და შედეგების გასაჩივრება.

- ოლიმპიადის პირველი ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმოშობილი დავები განიხილება შესაბამისი რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ;

- მეორე ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმომობილი დავები განიხილება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ.